<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ

ამ კანონის მიზანია ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით ამავე კანონით განსაზღვრული პირების ადმინისტრაციული სახდელისგან – ჯარიმის აღუსრულებელი ნაწილისგან გათავისუფლება.

მუხლი 1

გათავისუფლდნენ ადმინისტრაციული სახდელისგან – ჯარიმის აღუსრულებელი ნაწილისგან ის პირები, რომლებსაც „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მე-8 მუხლისა და „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ დარღვევის გამო დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა.

მუხლი 2

გათავისუფლდნენ ადმინისტრაციული სახდელისგან – ჯარიმის აღუსრულებელი ნაწილისგან ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{10}, 42^{11} და 177^{15} მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა.

მუხლი 3

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად ჩაითვლება პირი, რომელმაც ჩაიდინა ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამართალდარღვევა, მისი აღსრულების მიუხედავად.

მუხლი 4

1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების საკითხი გადაწყვიტონ ამ კანონის შესაბამისად.

2. ამ კანონით განსაზღვრულ პირებს ამავე კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის – ჯარიმის აღუსრულებელი ნაწილისგან გასათავისუფლებლად არ მოეთხოვებათ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოებისა და თანამდებობის პირებისთვის მიმართვა.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ამ კანონის საფუძველზე შეწყვიტოს მის წარმოებაში არსებული, ამავე კანონის რეგულირების სფეროსთვის მიკუთვნებული საქმეების აღსრულება.

მუხლი 5

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**